საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 96 2017 წლის 21 თებერვალი ქ. თბილისი

„პარიზის შეთანხმების“ დამტკიცებისა და ძალაში შესვლის თაობაზე

მუხლი 1

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, ძალაში შესვლის მიზნით, დამტკიცდეს 2015 წლის 12 დეკემბრის „პარიზის შეთანხმება“, რომელსაც საქართველოს მხრიდან ხელი მოეწერა 2016 წლის 22 აპრილს ქ. ნიუ-იორკში.

მუხლი 2

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ:

ა) აცნობოს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული შეთანხმების დადების შესახებ;

ბ) შეატყობინოს დეპოზიტარს ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის საქართველოს მხრიდან დასრულების თაობაზე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**